საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის

ბრძანება № 210

26 03 2019 წ.

ქ. თბილისი

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-6 პუნქტის, 35-ე მუხლის, 39-ე მუხლის, 41-ე მუხლის მე 3 პუნქტის, 126[1] მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 პუნქტების, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის, მე-7 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. 2019 წლის 29 მარტიდან 2019 წლის 07 აპრილის ჩათვლით გამოცხადდეს კონკურსი სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად.
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ვაკანტურ თანამდებობაზე თანამდებობრივი სარგო განისაზღვრება 2500 (ორი ათას ხუთასი) ლარის ოდენობით.
3. უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე კონკურსი გამოცხადდეს 1 (ერთი) ადგილზე.

4. სამუშაო ტიპი - სრული განაკვეთი.
5. გამოსაცდელი ვადა - 3 თვე.
6. უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსის მიმართ დადგინდეს შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
ა) მინიმალური განათლება - მაგისტრი ან მაგისტრთნ გათანაბრებული;
ბ) სამუშაო გამოცდილება - არანაკლებ 3 წელი, მათ შორის 1 წელი მენჯერულ/ხელმძღვანელ პოზიციაზე მუშაობის გამოცდილება
გ) კომპიუტერული პროგრამების (MS. Word, MS. Excel, MS. Power Point, MS. Outlook) – კარგად ცოდნა;
დ) ინგლისური ენის ცოდნის დონე - B2;
7. უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსის კონკურსში მონაწილე კანდიდატს მოეთხოვება შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:
7.1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
7.2. საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ";
7.3. საქართველოს კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ";
7.4. „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დადგენის შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N 65/ნ ბრძანება;
7.5. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეორგანიზაცის გზით საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის 89/ნ ბრძანება;
7.6. რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამების ცენტრის დირექტორის მიერ დამტკიცებული დარგობრივი მახასიათებლები;
7.7. ბოლონიის პროცესის ძირითადი პრინციპები და მახასიათებლები;
7.8. ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები (ESG – 2015).
8. უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსის მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერა:
8.1. ცენტრის დებულებით უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს ფუნქციას მიკუთვნებული საქმიანობის ხელმძღვანელობა - დაგეგმვა, კოორდინაცია, თანამშრომელთა მიერ სამუშაოების შესრულების ხარისხისა და დროულობის კონტროლი;
8.2. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის და სააპელაციო საბჭოების სხდომების კოორდინაცია;
8.3. აკრედიტაციის პროცესთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება და ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავებაში მონაწილეობა;
8.4. საგანმანათლებლო პროგრამებების აკრედიტაციის მექანიზმების "ევროპის განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებთან და სახელმძღვანელო პრინციპებთან" შესაბამისობაში მოყვანა და დანერგვა;

8.5. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის მექანიზმის განვითარების მიზნით, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ექსპერტებთან თანამშრომლობა;
8.6. საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით აკრედიტაციის პროცესის დაგეგმვა და განხორციელება;
8.7. საგანმანათლებლო პროგრამების საერთაშორისო აკრედიტაციის განხორციელების ხელშეწყობა;
8.8. უმაღლესი განათლების საფეხურზე დარგობრივი მახასიათებლების შემუშავების ხელშეწყობა;
8.9. სამმართველოს კომპეტენციიდან გამომდინარე სხვადასხვა სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობა;
8.10. კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით საკუთარი საქმიანობის ანალიზი, საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებისა და ეფექტიანობის გაზრდისათვის რეკომენდაციების შემუშავება;
8.11. სამსახურის შიდა დებულებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გათვალისწინებული მოვალეობების შესრულება;
8.12. ხელმძღვანელის სხვა დავალებების შესრულება, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.
9. კონკურსში მონაწილე კანდიდატს უნდა გააჩნდეს შემდეგი უნარები:
ა) ეფექტური კომუნიკაციის უნარი;
ბ) სწრაფი რეაგირების და გადაწყვეტილების მიღების უნარი;
გ) ანალიტიკური და სისტემური აზროვნების უნარი;
დ) ზეპირი და წერილობითი საქმიანი კომუნიკაციის წარმოების უნარი;
ე) შემჭიდროვებულ ვადებში მუშაობის უნარი;
ვ) მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა;
ზ) დავალებათა განაწილებისა და დელეგირების უნარი;
თ) დაგეგმვის, ლიდერობის და ხელმძღვანელობის უნარი;
ი) მოლაპარაკების ეფექტურად წარმართვის უნარი;
კ) პრობლემების გადაჭრისა და კონფლიქტების მართვის უნარი;
ლ) გუნდური მუშაობის, გუნდის განვითარების უნარი.
10. საკონკურსო კომისიის მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია;
სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, საქართველო, თბილისი 0193, მ. ალექსიძის ქ. №1,
საკონტაქტო ტელეფონი - (+995 32) 2 200 220.
11. კონკურსში მონაწილე პირმა, ამ ბრძანების პირველი პუნქტით დადგენილ ვადაში, კონკურსში მონაწილეობისთვის განაცხადი და სავალდებულო დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინოს მხოლოდ ელექტრონული ფორმით, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის მეშვეობით (www.hr.gov.ge).
12. კონკურსში მონაწილეობისთვის კანდიდატმა განაცხადს უნდა დაურთოს განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი. აუცილებელია კანდიდატმა მიუთითოს 2 რეკომენდატორის ვინაობა საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით.
13. კონკურსი ჩატარდება 3 ეტაპად:
ა) კანდიდატების მიერ წარმოდგენილი განცხადებების გადარჩევა;
ბ) ზეპირი დავალება;
გ) გასაუბრება.
14. კანდიდატთა შეფასება განხორციელდეს ზეპირი დავალებისა და გასაუბრების საფუძველზე.

15. საკონკურსო კომისია საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს ხმათა უმრავლესობით, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, განცხადების წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვისა.
16. დაევალოს ადამიანური რესურსების სამმართველოს ვებგვერდის - www.hr.gov.ge - მეშვეობით კონკურსის გამოცხადების უზრუნველყოფა.
17. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს ამ ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.
18. ბძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

დირექტორი გიორგი ვაშაკიძე